ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და EMBER პროექტის ფარგლებში აცხადებს კონკურსს დევნილის სტატუსის მქონე თსუ-სა და საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების დოქტორანტურის სტუდენტებისთვის (მესამე სამიზნე ჯგუფი) ევროპის 9 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო/კვლევითი სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:
ember.tsu.ge

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**დოქტორანტურის სტუდენტები**
ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
მაგისტრის დიპლომი	არქონის შემთხვევაში, ცნობა, რომ დამთავრებული გაქვთ, აღების სავარაუდო თარიღის მითითებით
მაგისტრატურის ნიშნების ამონაწერი	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ ფაკულტეტის მიერ არ არის ინგლისურ ენაზე მომზადებული)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	თსუ-ს სტუდენტებმა, რომელთაც არ აქვთ ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, არაუგვიანეს 2013 წლის 20 ნოემბრისა უნდა გაიარონ რეგისტრაცია თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში და დაწერონ B2 დონის ინგლისური ან მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული სხვა (გერმანული, იტალიური და ა.შ) ენის ტესტი. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!! საქართველოში აკრედიტებული სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა რომელთაც არ აქვთ ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, უნდა წარადგინონ მშობლიურ უნივერსიტეტში ენის ტესტის (B2) ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული ენებიდან ერთ-ერთის: ინგლისური, გერმანული, იტალიური და ა.შ).
სასწავლო ან საკვლევი გეგმის მონახაზი	სტიპენდიაზე განაცხადის შეტანის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ მიმდინარე კვლევის აღწერილობა და ინფორმაცია, რა კვლევის ჩატარება სურთ მასპინძელ უნივერსიტეტში (დანართი 1)
მოტივაციის წერილი	რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის

	მიღება, როგორ იმოქმედებს აღნიშნული სტიპენდია და მასპინძელ უნივერსიტეტში გატარებული პერიოდი თქვენს კვლევასა და პროფესიულ და სამომავლო განვითარებაზე (ინგლისურ ენაზე)
დაინტერესების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტისგან	მასპინძელი უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის ხელმძღვანელის წერილი, კვლევის ხანგრძლივობის მითითებით, რომ თქვენი კვლევით შესაბამისი ხართ მათ მიერ შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამასთან (შერჩევის შემთხვევაში)
CV	ევროპული ფორმატი
რეკომენდაციის წერილი (არ არის სავალდებულო)	მაქსიმუმ ერთი (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
განცხადება განმეორებით ერასმუსის სტიპენდიის მიღებაზე	იხილეთ ნიმუში (დანართი 2)
სოციალურ-ეკონომიკური ან/ და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა	ოფიციალური დოკუმენტი, რომ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ ფენას ან იღებთ სოციალურ შემწეობას, ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი	შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. სევილიის უნივერსიტეტი, ესპანეთი, პროექტის კოორდინატორი
2. ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ესტონეთი
3. ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიტვა
4. ლინჩოპინგის უნივერსიტეტი, შვედეთი
5. მალმოს უნივერსიტეტი, შვედეთი
6. კა'ფოსკარის უნივერსიტეტი, იტალია
7. სალერნოს უნივერსიტეტი, იტალია
8. ლოდცის უნივერსიტეტი, პოლონეთი
9. იენის უნივერსიტეტი, გერმანია

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
https://emecw.gis.lu.se/priorityFields.aspx?location=all&lot=EMBER
მობილობის პერიოდი: 2014/2015 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: 16 თვე
სტიპენდია მოიცავს 1500 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2014 წლის 15 იანვარი

დამატებითი ინფორმაციისთვის და ენის ტესტზე დასარეგისტრირებლად (თსუ-ს სტუდენტებმა) მიმართეთ
ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge